შავი ზღვის აჭარის სანაპირო ზოლის ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება

მარიამი სიჭინავა

ელ./ფოსტა: mariami.sichinava238@ens.tsu.edu.ge;
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი

საქართველოს ზღვისპირა ტერიტორია განსაკუთრებით ფასეულია თავისი ბუნებრივი პირობებით და სამეურნეო თვალსაზრისით. თანამედროვე მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც ინტენსიურად მიმდინარეობს ბუნების გლობალური ცვლილებები და ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად განუზომლად იზრდება ჰიდროლოგიურ ობიექტებზე ანთროპოგენური ზეგავლენის ფორმები და მასშტაბები.

შავი ზღვის ეკოლგიურ მდგომარეობაზე დიდ გავლენას ახდენს აჭარის მდინარეები და ინტეგრირებული ჩამონადენის რეჟიმული ელემენტების შეფასებას უდიდესი მნშვნელობა აქვს სანაპირო ზოლის მართვისა და ეკოლოგიური მდგომარეობის შესწავლისათვის.

საქართველოს შავი ზღვის ნაპირების დიდი წილი გენეტიკურად აკუმულაციური ტიპისაა. მათი მდგრადობა პირდაპირ კავშირშია სანაპირო ზონაში ნატანის რაოდენობასთან, რომლის ძირითადი შემადგენელია მდინარეების ალუვიონი. მათი რაოდენობრივ-ხარისხობრივი მახასიათებლების და ზღვაში გამოტანის და გადანაწილების პირობების შეცვლამ შესაძლოა რადიკალური გავლენა იქონიოს სანაპირო ზონაზე და მდინარის კალაპოტში მიმდინარე პროცესებზე.

წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია აჭარის სანაპირო ზოლის ეკოლოგიური მდგომარეობა, მისი ცვალებადობის გამომწვევი მიზეზები და გავლენა მიმდებარე ეკოსისტემებზე, ანთროპგენური დატვირთვების ფორმები და მასშტაბები. მდინარეების რეგულირება და ჩამონადენის წყალსამეურნეო გამოყენება დღევანდელი დღის აუცილებელი მოთხოვნაა და ამას ვერსად ვერ გავექცევით. ამიტომ, საჭიროა ამ საკითხისადმი კომპლექსური მიდგომა განსაკუთრებით კი მაშინ, როცა საქმე გვაქვს ისეთ სუსტ და არამდგრად ბუნებრივ სისტემებთან, როგორებიც ზღვის სანაპირო ზონა და ეკოლოგიური სისტემებია.